# ხაშურის მოამბე

№41 (242) 28 ოქტომბერი, ორშაბათი, 2019 წელი


## მუნიციპალიტეტის მერმა ამომრჩევლებს, მერიის მიერ, მიმდინარე წელს გაწეული მუშაობის ანგარიში ჩააბარა

ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, საქართველოში მოქმედი კოდექსის თანახმად, თვითმმართველი ერთეულის მერი ვალდებულია, ყოველი წლის ბოლოს, ამომრჩევლებს ანგარიში ჩააბაროს გაწეული მუშაობის შესახებ. კანონის ეს მოთხოვნა, ბუნებრივია, სრულდება ჩვენს მუნიციპალიტეტში და უკვე ტრადიციად იქცა, რომ ოქტომბრის ბოლოს ან ნოემ-

ბრის დასაწყისში მერი (მანამდე გამგებელი) ამომრჩეველთა ფართო აუდიტორიას ხვდება. ასე იყო ამჯერადაც და 24 ოქტომბერს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი, გიორგი გურასპაშვილი ამომრჩევლებს შეხვდა. მისასალმებელია, რომ მერმა საუბარი დიალოგის ფორმატში წაიყვანა და წინასწარ შედგენილი დაწერილი „შაბლონი" არ გამოყენებულა, რამაც ამომრჩევლამდე სათქმელის მიტანა ბევრად ეფექტური გახადა.

უპირველესად, მერმა მადლობა გადაუხადა აუდიტორიას მობრძანებისთვის და აღნიშნა, რომ ასეთი შეხვედრები და ამომრჩეველთან მუდმივი დიალოგი არის არის გარანტი ნებისმიერი თვითმმართველი ერთეულის წინსვლისა.

საუბრის დასაწყისში აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, ბოლო ოთხ წელიწადში თითქმის გაორმაგდა, რამაც მერიას საშუალება მისცა, რომ ბევრად მეტი ინფრასტრუქტურული თუ სხვა სახის პროექტები განხორციელებულიყო, ვიდრე წლების უკან. ამას ფაქტებიც ადასტურებს: მხოლოდ მიმდინარე წელს 148 ტენდერი გამოცხადდა, რომელთაგან 94 დადებითად დასრულდა. განხორციელდა 200 შესყიდვა. მუნიციპალიტეტს აქტიურად უდგას გვერდში ქვეყნის მთავრობა და რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდმა, ინფრასტრუქტურის სამინისტომ ,ჯამურად, 5 მილიონ ლარზე მეტი დახარჯა ბიჯნისის წყლის სათავე ნაგებობების მშენებლობის, მცხეთიჯვარი – წაღვლის, ხცისი-კრისხევის, ვაყის, სურამში გზების რეაბილიტაცია –მოასფალტებასა და სხვა სახის პროექტებში. ამჟამადაც ფართო მასშტაბით მიმდინარეობს ხაშურში, ბორჯომის ქუჩის გასწვრივ, ღობეების მოწესრიგება. პარალელურად, მერმა ისაუბრა იმ მსხვილ პროექტებზე, რომელთა ნაწილი უკვე დასრულდა, რიგი კი მშენებლობის პროცესშია(სასპორტო კომპლექსი, ბეკმის გზის მოასფალტება, „ივერიის" სტადიონის მშენებლობა, დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია და სხვა...) აღნიშნა, რომ აღებული ტემპი არც მომავალ წელს შენელდება და კვლავ გაგრძელდება მინისტადიონების, სკვერების, საბავშვო ბაღების, სოფლის ამბულატორიების მშენებლობა და სოფლებში მისასვლელი გზების რეაბილიტაცია. როგორც გამიზნულია, 2021 წლის ბოლოს მუნიციპალიტეტის ყველა სოფლის მისასვლელი გზა მოასფალტდება.

მერი შეეხო განათლების სისტემასაც და აღნიშნა, რომ მხოლოდ მიმდინარე წელს, მუნიციპალიტეტის სკოლების რემონტისათვის 900ათას ლარამდე დაიხარჯა. ცალკე თემაა ფლევის ახლადაშენებული საჯარო სკოლის შენობა, რომელიც მთლიანად ევროპული სტილისაა თავისი მინისტადიონით, სასპორტო დარბაზით თუ სხვა ინფრასტრუქტურით.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით, რომელიც წელს კვლავ განახლდა, 844 ათასი ლარი დაიხარჯა სხვადასხვა პროექტებში, რომლებიც უშუალოდ ადგილობრივი მკვიდრების ინიციატივით და მოთხოვნით შედგა.

კვლავ პრიორიტეტად რჩება სოციალური დახმარებები და სოციალურად დაუცველთა თანადგომა. ამისთვის, წელს, უკვე დახარჯულია 800 ათასი ლარი და მატერიალური დახმარება 1400 კაცზე მეტს გაეწია.

მერმა კულტურულ ღონისძიებებზე და სასპორტო ცხოვრებაზეც ფართოდ ისაუბრა. აღნიშნა, რომ ფინანსები გამონახულია და წლის ბოლომდე გამოცხადდება ტენდერი რკინიგზის კულტურის სასახლის რეაბილიტაციისთვის და 2020 წელს ეს უნიკალური შენობა ნებისმიერი ღონისძიების მასპინძლობას შეძლებს. აქვე, მან ისაუბრა იმ სპორტულ მიღწევებზე, რომლებიც ჩვენი მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის აღზრდილებმა აჩვენეს. სასიხარულოა, რომ წელს ხაშურს ევროპის, მსოფლიოს პირველობის თუ მრავალ საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებულები ჰყავს.

ანგარიშის ბოლოს, მერი კვლავ სამომავლო, 2020 წლის გეგმებს შეეხო და ისაუბრა იმ პროექტებზე,რომლებიც გაისად უნდა დაიწყოს ან განხორციელდეს, ესენია ხაშურის წყალმომარაგებისა და წყალანირების სისტემის მშენებლობა, რომელსაც საფრანგეთის განვითარების საგენტო გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკთან ერთად დააფინანსებს და ამისათვის 40 მილიონ ევროს გამოყოფს. ასევე, განხრციელდება სურამის ციხის რეაბილიტაცია, სოფლების გაზიფიცირება, ეთნოგრაფიული მუზეუმის, სურამის სტადიონის, ხაშურის ახალი ბიბლიოთეკის მშენებლობები და სხვა.

დასასრულს, მერმა მადლობა გადაუხადა მერიის, ა(ა)იპ-ების, საკრებულოს თანამშრომლებს, აქტიური თანადგომისა და დაუღალავი შრომისათვის და კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ რეგიონის ხელმძღვანელების, ქვეყნის მთავრობის აქტიური მხარდაჭერა გარანტიაა, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური თუ კულტურული აღმასვლა შეუქცევადი პროცესი იყოს.

იმავე დღეს ამომრჩევლებს ანგარიში ჩააბარა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, მიხეილ ჯანაშვილმა. ანგარიშის სრულ ვერსიას გაზეთის მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

# ხაშურის მოსახლეობას, ადგილობრივი, საკანონმდებლო ხელისუფლების და სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლები შეხვდნენ

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერთან- გიორგი გურასპაშვილთან ერთად, მოქალაქეების პრობლემებს ისმენდნენ საქართველოს პარლამენტის წევრები: სიმონ ნოზაძე, თემურ ხუბულური, შიდა ქართლის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე სიმონ გულედანი, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი, მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები.

შეხვედრებზე მოსახლეობამ იმ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ისაუბრა, რაც მათი ყოფა–ცხოვრებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. კერძოდ, თევდორე მღვდლის ქუჩაზე ღობეების მოწესრიგება ითხოვეს, რაზეც მერიისგან თანხმობა მიიღეს, რუსთაველის ქუჩაზე, მრავალსართულიანი ბინის მცხოვრებლებმა ლიფტისა და ფასადის მოწესრიგება დაასახელეს მნიშვნელოვნად. მუნიციპალიტეტის მერმა კი განუმარტა მათ, რომ ლიფტის პრობლემის მოგვარება უახლოეს დღეებში დაიწყება, ფასადების მოწესრიგება კი-გაზაფხულიდან.

შეხვედრებზე, ძირითადად პრობლემად წყალი სახელდებოდა, თუმცა, ხელისუფლების წარმომადგენლების განმარტებით,გაზაფხულიდან იწყება წყლის და კანალიზაციის მასშტაბური პროექტი და ქალაქში ეს საკითხი საბოლოოდ გადაიჭრება.

იმ დღეისთვის შეხვედრები, წმ ბარბარეს სახელობის ტაძრის, კულტურის სახლის, ცენტრალური პარკის და ლომოურის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიებზე გაიმართა.

ამ ფორმით, მოსახლეობის აზრის მოსმენა და მათი საჭიროებების შესწავლა, კვლავაც გრძელდება.

# საინფორმაციო შეხვედრა ნატოს დღეების ფარგლებში

ნატოს დღეების ფარგლებში, ხაშურში, ახალი ბანას ტერიტორიაზე საინფორმაციო შეხვედრა მოეწყო, რომელსაც შიდა ქართლის ოთხივე მუნიციპალიტეტში მცხოვრები უფროსკლასელები, სტუდენტები და საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდები დაესწრნენ. ღონისძიებას შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ხოჯევანიშვილი, საგარეო საქმეთა სამინისტროს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის დირექტორი თამარა წულეისკირი, საქართველოში ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელი როზარია პუგლისი და საქართველოში პოლონეთის რესპუბლიკის ელჩი მარიუშ მაშკიევიჩი უძღვებოდნენ.

გამომსვლელებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიზნებსა და ამოცანებზე, ნატო-საქართველოს თანამშრომლობის მექანიზმებზე, მიღწევებსა და გამოწვევებზე. ასევე ხაზი გაესვა საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის მნიშვნელობას. აღნიშნეს, რომ რეგიონებში მსგავსი სახის შეხვედრები მნიშვნელოვანია, რომელთა ფარგლებშიც მოქალაქეებს საშუალება ეძლევათ ინტეგრაციულ პროცესებთან დაკავშირებით მოისმინონ ინფორმაცია როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების, ასევე, საერთაშორისო ინსტიტუტების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა თუ დამოუკიდებელი ექსპერტებისგან.

შიდა ქართლის რწმუნებულის თქმით, ახალგაზრდებთან მსგავსი ტიპის შეხვედრები საჭირო და აუცილებელია, მითუმეტეს ისეთი თემების გარშემო, როგორიც ნატო და ევროკავშირია.

შეხვედრის ბოლოს ახალგაზრდებმა მათთვის საინტერესო შეკითხვები დასვეს, რაზეც ამომწურავი პასუხები მიიღეს.

# შეხვედრა სურამის მოსახლეობასთან

23 ოქტომბერს, ქალაქ ხაშურისა და დაბა სურამის მოსახლეობის აზრს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერთან- გიორგი გურასპაშვილთან ერთად, საქართველოს პარლამენტის წევრები: სიმონ ნოზაძე, თემურ ხუბულური, შიდა ქართლის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ამირან ქრისტესიაშვილი, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი, მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები ისმენდნენ.

დაბა სურამში მოსახლეობასთან შეხვედრებზე მუნიციპალიტეტის მერმა უკვე განხორციელებულ და დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ისაუბრა და მცხოვრებლების საყოფაცხოვრებო საჭიროებებს გაეცნო.

საუბრისას აღინიშნა, რომ მომავალი წლისათვის სურამში მრავალი ინფრასტრუქტურული პროექტი უნდა განხორციელდეს. მათ შორის, სურამის ციხის რეაბილიტაცია, ლესია უკრაინკას მუზეუმის მშენებლობა, მთელი რიგი ქუჩების მოასფალტება, სტადიონის მშენებლობა და სხვა... იქვე გადაწყდა, რომ ასეთი შეხვედრები რეგულარული გახდება და ნებისმიერ დროს, მოსახლეობის მოთხოვნისთანავე შედგება.

იმ დღესვე, შეხვედრები ყოფილი აგურის ქარხნისა და წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიებზე, მინის ტარის დასახლებაში გაიმართა.

ამ ფორმით მოსახლეობის აზრის მოსმენა და შესწავლა აუცილებელია მომავალი პროექტების ეფექტურად დასაგეგმად.

- ჯანდაცვა -

# იწყება გრიპის საწინააღმდეგო აცრების კამპანია

საქართველოში იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამა 1996 წლიდან ხორციელდება და მისი მიზანია ქვეყნის მოსახლეობის დაცვა ვაქცინაციით მართვადი დაავადებებისაგან და ხარისხიანი მომსახურებით უზრუნველყოფისათვის. მოგეხსენებათ, რომ შემოდგომით აქტიურდება გრიპის ვირუსი, რაც დიდ საფრთხეს უქმნის მოსახლეობას, მისგან თავის დაცვის საუკეთესო გამოსავალი და საშუალება, დროული ვაქცინაციაა, რაც თავიდან აგვაცილებს ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის შექმნილ საფრთხეებს. სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მოსახლეობის გრიპის ვირუსის წინააღმდეგაა მიმართული, ყოველწლიურად, ოქტომბრის თვიდან იწყება. ამ პროგრამის არსებობა საუკეთესო პრევენცია და დაცვაა, შემდგომი გართულებების, რომლებიც ხშირად, ადამიანთა სიკვდილიანობითაც კი სრულდება. თუ რამდენად მნიშვნელოვანია იმუნიზაცია, რა კატეგორიის ადამიანეს შეუძლიათ ისარგებლონ

უფასო ვაქცინაციით, რამდენად უსაფრთხოა ვაქცინაცია, ამ და სხვა საკითხებზე და იმუნუზაციის კუთხით არსებულ სიახლეებზე, ხაშურის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის უფროსი დავით ჩიქოვანი ისაუბრებს:

**- ბატონო დავით, როგორც ვიცი, გრიპის სეზონი დაიწყო, მზადაა თუ არა თქვენი სამსახური გრიპის ვირუსის საწინააღმდეგო აცრებისათვის?**

—დიახ, 2019-2020 წლის გრიპის ვირუსების სეზონი უკვე დაიწყო, აქტიური მონიტორინგი იწყება მეორმოცე კვირას, სამი კვირაა გასული და არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა ჯერ. როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი გვატყობინებს, ვირუსის გააქტიურებას ელოდებიან ნოემბრის შუა რიცხვებიდან. არის პროგნოზი, რომ წელს შედარებით დაბალი იქნება ინფიცირების რისკი და მაჩვენებელი წინა წლებთან შედარებით დაიკლებს. ეს განპირობებულია განათლების მაღალი დონით, ვაქცინაციის ჩატარებით და მოსახლეობის მზაობით. ვაქცინაცია, როგორც წესი, ოქტომბრის ბოლოდან იწყება ხოლმე. რიგი მიზეზების გამო, წელს ცოტა დაიგვიანა. დაახლოებით 10-დღიდან ორ კვირამდე ჭირდება აცრიდან ვაქცინას, რომ გამოიმუშაოს ანტივირუსები.

**- რა ტიპის ვაქცინაა და ვის შეუძლია ისარგებლოს უფასო იმუნიზაციით?**

—ეს გახლავთ ოთხკომპონენტიანი ვაქცინა, ფრანგული წარმოების. მასში შედის ა ტიპის $H_1$ და $H_2$ ვირუსები და ბ ტიპის ორი კომპონენტი, დაახლოებით ორ კვირაში გვექნება. სახელმწიფო აფინანსებს გარკვეულ რისკ ჯგუფებს: მედიცინის მუშაკების, საბავშვო ბაღის აღმზრდელების, ორსულების, დედათა და ბავშვთა დაწესებულებების, მოხუცთა თავშესაფრების თანამშრომლებს, დიალეზზე მყოფ პაციენტებს, ც ჰეპატიტის მქონე ადამიანებს.

**- რაიმე რისკ ჯგუფები ხომ არ არსებობს იმ ადამიანებისთვის, ვისთვისაც იმუნიზაცია არ შეიძლება?**

—განსაკუთრებული ჩვენება არ არსებობს, შეიძლება მხოლოდ ალერგიული ფონის შემთხვევა იყოს, პირადად მე, ალერგიული ვარ, თუმცა, შვიდი წელია ვიცრები და პრობლემა არ მქონია.

**- იმუნიზაციის შემთხვევაში, რამდენად დაცულები ვართ გრიპის ვირუსით ინფიცირებისგან, ან შესაძლო გართულებისგან?**

—შეიძლება დაინციფირდეს ადამიანი, თუმცა ბევრად მარტივად ხდება ვირუსთან გამკლავება, როგორც ახასიათებს გრიპის ვირუსს. ამ დროს ბევრი რამაა წინა პირობა, აცრიდან რამდენ ხანში დაინფიცირდა ადამიანი, იყო თუ არა, ანტისხეულები გამომუშავებული და სხვა.

**- აცრებთან დაკავშირებით არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, რომ იწვევს სხვადასხვა ტიპის გართულებებს, რა შეგიძლიათ ამასთან დაკავშირებით რომ გვითხრათ?**

—ყველანაირ აცრასთან არსებობს სკეპტიკური დამოკიდებულებები, სანდოობა არც თუ ისეთი მაღალია, საქართველოში შემოსული ვაქცინა, არის მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ ლიცენზირებული ვაქცინა. არ აქვს მნიშვნელობა, რომელი ქვეყნის მიერაა წარმოებული, პრეპარატი აბსოლუტურად იგივეა.

**- ვაქცინა განსაზღვრული რაოდენობით მოგეწოდებათ?**

—წინა წლის მონაცემების გათვალისწინებით ვახდენთ დაზუსტებას, ზოგჯერ იყო შემთხვევა, ჩამოტანილი ვაქცინა დაგვრჩა, იმის გამო, რომ არ აიცრენ. პირდაპირ არის მიღთითებული კატეგორები, იმ ადამიანების, ვისაც შეუძლიათ ამ პროგრამით სარგებლობა, მაგალითად, რამდენია დიალეზზე მყოფი, რამდენია მედიცინის მუშაკი და ა.შ. სადაც არ უნდა აიცრას ადამიანი, სპეციალური იმუნიზაციის პროგრამაში უნდა მოხდეს აღრიცხვა, სრული მონაცემებით.

**- ვის შეუძლია უფასო ვაქცინაციით სარგებლობა?**

—2019 წლის იანარში გამოვიდა ბრძანება სავალდებულო გრიპის აცრების შესახებ, რაც ითვალისწინებს მედიცინის მუშაკების, აღმზრდელ-მასწავლებლების სავალდებულო აცრის შესახებ.

**- ადამიანებს, რომლებიც ვერ ხვდებიან სახელწიფოს მიერ დადგენილ კატეგორიებში, როგორ უნდა მოხდეს მათი იმუნიზაცია?**

—ესაა უკვე კერძო კლინიკების პრეროგატივაა რადგან ესაა იმუნიზაცია და აცრის წესები უნდა დავიცვათ და მოხდეს დაკვირვება პაციენტზე. პრეპარატი, რა თქმა უნდა, ფასიანია.

**- როგორც ვიცი, მეორე წელია ხორციელდება აცრები პაპილლომა ვირუსის წინააღმდეგ. მოსახლეობის ცნობიერების დონე როგორია ამასთან დაკავშირებით და შესაბამისად, რამდენად დიდია მომართვიანობა?**

—სექტემბრის თვიდან დავიწყეთ პაპილომა ვირუსის წინააღმდეგ აცრები. დავიწყეთ ცნობიერების ამაღლების კამპანია, ვცრით 10,11,12 წლის გოგონებს, ეს ყველაზე კარგი პერიოდია, რადგან ამის შემდეგ იწყებენ სქესობრივ ცხოვრებას და მნიშვნელოვანია აცრების ჩატარება საშვილოსნოს ყელის კობოს პრევენციისთვის. ბევრი მშობელი დიდი სიხარულით და ინტერესით შეხვდა ამ ფაქტს, რადგან იციან, რა ტიპის პრობლემის შესაძლო გავითარებასთან შეიძლობა გვქონდეს საქმე. საკმაოდ ძვირი ღირს ვაქცინა და სახელმწიფო ამის შესაძლებლობას აძლევს მათ. არსებობს სკეპტიკური დამოკიდებულება, რომ პაპილლომა ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია იწვევს უშვილობას, რაც ნამდვილად სიცრუეა და დადასტურებული ფაქტია ეს. ჯერ კიდევ წლების წინ, როცა პროგრამა მხოლოდ თბილისში ხორციელდებოდა, ჩემ ორივე გოგონას ჩავუტარე პაპილომა ვირუსის წინააღმდეგ აცრა. მინდა, მშობლებს მოვუწოდო, გამოიყენონ ეს შესაძლებლობა და დაიცვან საკუთარი შვილები საშვილოსნოს ყელის კიბოს შესაძლო განვითარებისგან. ვაქცინა საკმაოდ ძვირი ღირს და ნამდვილად დიდი ფუფუნებაა ასეთი ტიპის აცრების შესაძლებლობა.

ალბათ ძალიან ბევრი დამეთანხმება, რომ იმუნიზაცია-ვაქცინაცია, ყველაზე დიდი აღმოჩენაა, 13 წელია ამ სამსახურში ვარ და ყოველთვის მოვუწოდებდი მოსახლეობას, დაიცვან როგორც საკუთარი, ასევე სხვისი შვილებიც. გრიპითაც იღუპებიან ადამიანები, წითელა ვირუსითაც, დიფტერიითაც, და რათქმა უნდა, პაპილლომა ვირუსითაც. ვისურვებდი, რომ ყველანაირი დაავადების საწინააღმდეგო ვაქცინა შეიქმნას, რომ მეტი პრევენციული ზომა იქნეს მიღებული. როგორც უკვე აღვნიშნე, შვიდი წელია, მეც და ჩემი ოჯახიც იმუნუზაციის საშუალებით ვიცავთ თავს გრიპის ვირუსის ეპიდემიისგან.

თ. ჯავახიშვილი

**დღეს ვიწყებთ, ისტორიკოსის, ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების დირექტორის თამაზ ლაცაბიძის ნაშრომი[1]ს-„ხაშურის მუნიციპალიტეტის საფორტიფიკაციო ნაგებობების“ გამოქვეყნებას, სადაც ავტორი ძალზე საინტერესოდ გვიამბობს ჩვენში არსებული ციხე-კოშკების ისტორიას და მათ როლს ქვეყნის თავდაცვის საქმეში. ვფიქრობთ, ნაშრომი არა მარტო სპეციალისტებს, ისტორიკოსებს, არამედ მკითხველთა ფართო წრესაც დააინტერესებს.**

იამბე, ციხის ნაშაღო,
რა დრო გაქ გამოვიღიო,
ვისირა აგებული ხარ,
ვისირა ჩამოშლიღიო.
ხაღხური

- ჩვენი ისტორია -

# ხაშურის მუნიციპალიტეტის საფორტიპიკაციო ნაგებობები

საქართველოს მთა და ბარი მოფენილია ციხე-სიმაგრეებითა და კოშკებით, რომლებიც, საუკუნეების მანძილზე, ერთგულ დარაჯებად ედგნენ ქვეყანას. გაოცებას იწვევს, თუ, როგორ ახერხებდნენ ჩვენი წინაპრები მისადგომად თითქმის მიუვალ ადგილებში ციხე-სიმაგრეების აშენებას. მათი აგება ხდებოდა არა შემთხვევით, არამედ წინასწარ, კარგად შერჩეულ ადგილებში, რომლებსაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა ქვეყნის ცხოვრებაში. ასეთი სტრატეგიული ადგილები იყო ქვეყნის შიდა რეგიონების დამაკავშირებელი გზები და გადასასვლელები.

ასეთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული ადგილებით გამოირჩევა დღევანდელი ხაშურის რეგიონი.

ძველ გზებსა და გზაჯვარედინებზე, გადასასვლელებზე დღესაც ამაყად დგანან ჩვენი წარსულის ეს უტყვი მოწმეები, თუმცა რატომ უტყვი, ალბათ უფრო მეტყველი მოწმეები. უბრალოდ, ცოტა მეტი დაკვირვება გვმართებს და თითოეული ციხე კოშკის ამეტყველება შეიძლება. თუ მათდამი ცოტაოდენი ინტერესი შეგამჩნიეს, ისინი დაუფარავად გიმხელენ თავიანთ თავგადასავალს, რომელიც ჩვენი ქვეყნის ისტორიის დიდ მდინარებას ერთვის და ერთ მთლიან სურათს ქმნიან ქვეყნის თავგადასავალისას.

ხაშურის რაიონი შიდა ქართლის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. იგი დასავლეთისა და ჩრდილოეთის მხრიდან ლიხის, ხოლო სამხრეთიდან - თრიალეთის მთებით არის შემოსაზღვრული. აღმოსავლეთით კი შიდა ქართლის ვაკეზე იშლება.

ასეთმა მდებარეობამ განსაზღვრა მისი როლი და ადგილი საქართველოს ისტორიაში. აქ იყრიდა თავს აღმოსავლეთ, სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი გზები, რომელთა არსებობაცშორეული წარსულიდან დასტურდება არამარტო ქართულ, არამედ უცხოურ (ბერძნული, რომაული და სხვა) წყაროებშიც.

ასეთი მნიშვნელოვანი გზების აქ არსებობამაუცილებელიგახადა მათი დაცვა და კონტროლი. ამავე ფაქტორმა განაპირობა აქ ისეთი ცნობილი ქალაქების აღმოცენება და დაწინაურება, როგორებიცაა ალი და სურამი და აქვე ციხე-სიმაგრეების აგება.

ხაშურის რეგიონში მრავლად ყოფილა ციხე-სიმაგრეები და კოშკები. ფრანგი მოგზაური ჟან-შარდენი, რომელიც საქართველოში 1672-1673 წლებში იმყოფებოდა, წერს: „... გავჩერდით სურამის ველზე, ციხესთან ახლოს დიდ სოფელში, რომელსაც ასევე სურამი ჰქვია. სურამის ველი ძალიან ლამაზი ადგილია, დაფარულია დაბალი ტყეებით, სოფლებით, ბორცვებით, აგარაკებითა და ქართველ დიდებულთა პატარა ციხეებით“.

ჟან-შარდენს ეხმიანება გერმანელი მეცნიერი და მოგზაური აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი, რომელმაც 1843 წელს იმოგზაურა საქართველოში. იგი, თითქმის ორი საუკუნის შემდეგ, იგივეს იმეორებს რეგიონში ციხე-სიმაგრეთა სიმრავლის შესახებ, რასაც ფრანგი მოგზაური აღნიშნავდა. ქუთაისიდან მომავალი ჰაქსტჰაუზენი სურამის ციხისა და მისი შემოგარენის შესახებ წერს: „როცა ჩავედით ვაკეზე, სურამის სადგურიდან ოთხ ვერსზე, ვაკე ადგილზე, განმარტოებით აზიდულ ციცაბო ბორცვზე იყო საუცხოო ციხის ნანგრევები... მის წინ, ერთმანეთისაგან 1000 ნაბიჯის დაშორებით იყო მთელი რიგი ცალკეული კოშკებისა. მე ისინი 5 დავთვალე ციხის ირგვლივ. ციხის უკან იყო ასევე რამდენიმე მაღლობი სიმაგრეთა ნაშთებით. მსგავსი კოშკები თითქმის ყველა ქართლურ სოფელში და მემამულეთა სამფლობელოშია...“(2).

ორივე შემთხვევაში, როგორც ჟან-შარდენთან (XVII ს-ის 70-იანი წლები), ასევე აუგუსტ ჰაქსტ-ჰაუზენთან (XIX ს-ის 40-იან წლები), ჩვენს ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ სურამში კარგად ცნობილი ციხის გარდა სხვა არაერთი სიმაგრე - კოშკი ყოფილა.მარტო ციხის სიახლოვეს ჰაქსტჰაუზენი ხუთ კოშკს ითვლის. უფრო მეტიც, მაღლობებზე ჯერ კიდევ ყოფილა შემორჩენილი სხვა სიმაგრეთა ნაშთები.

ეს რომ ასე იქნებოდა, ეჭვიც არ გვეპარება.

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ყველა ფეოდალს, მიუხედავად შესაძლებლობისა, უნდა ჰქონოდა ციხე-სიმაგრე. „... მთავარისა ჯერი იყო რათა აქუნდეს... ციხე-ქალაქი, სიმაგრე და ხეობანი, და თვინიერ ამისა არა ისახელებოდა მთავრად“. იგივეს ამბობს ვახუშტი აზნაურის შესახებაც: „ხოლო აზნაურსა აქუნდა გუარი და ჩამომავლობა, და სიმაგრე რაიმე მთათა ანუ ბართა, და დაბნები... და თვინიერ ამისა არა იწოდებოდა აზნაურად“ .

ე.ი წარჩინებული წოდებისთვის აუცილებელი იყო ჰქონოდა რაიმე ციხე-სიმაგრე, თუ ეს არ ექნებოდა, იგი სრულფასოვან ფეოდალად, აზნაურად არ ჩაითვლებოდა. ამიტომ ისინი ყოველთვის ცდილობდნენ აეგოთ მცირე ზომის ციხე-სიმაგრეები ან კოშკები მაინც.

მურვანიშვილების 1800 წლის 16 მაისის არზაში, გიორგი XII-ისადმი ნათქვამია: „მათის უმაღლესობის ბედნიერის ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ლუარსაბ მურვანიშვილისა: ასემც თქვენს მტერს და ორგულს გაუჭირდეს საქმე, როგორადაც ჩემს კაცებს უჭირდეს. ნაპირს ქვეყანას გახლანან, გვევდრებით ოთხი წლის სითარხნე უბოძოთ, რომ აღარაფერზედ არ შეაწუხონ, ეგების ერთი სიმაგრე კოშკი გავაკეთებინო“.

გიორგი XII ლუარსაბ მურვანიშვილის თხოვნას ითვალისწინებს და მის ყმებს ოთხი წლით ათავისუფლებს (ათარხნებს): „ჩვენი ბძანება არის, რომელნიც ჩვენი მოხელენი და მოსაქმენი ხართ! მერე ამ არზის პატრონის კაცებისათვის ოთხი წელიწადი სითარხნე გვიბოძებია, რომ ამ ოთხს წელიწადს ყოვლის ფერით თარხანი უნდა იყვნენ. ყველამ ასე იცოდეთ, ამის კაცების არაფერს ხარჯში გარევა არ იქნება“.

ამ არზაში ჩვენს ყურადღებას იქცევს ლუარსაბ მურვანიშვილის სიტყვები, რომ მისი „კაცები“ „ნაპირს ქვეყანას გახლანან“. სწორედ ეს მომენტი აიძულებდა მას კოშკის აგებაზე გადაწყვეტილების მიღებას.

შეუძლებელი იქნებოდა ქართლის სამეფოს დასავლეთის საზღვართან, ხაშურის რეგიონში, მცხოვრებ „ნაპირს ქვეყნის“ სხვა თავადებსა და აზნაურებს არ ჰქონოდათ თავიანთი სიმაგრეები და კოშკები, რაც, უპირველეს ყოვლისა, თავდაცვის აუცილებლობიდან გამომდინარეობდა.თავად ხიდირბეგიშვილებს, აზნაურებს - აბაზაძეებს, ჩხეიძეებს, იქვე ბეკამში მცხოვრებ თავად აბაშიძეებს აუცილებლად ექნებოდათ თავიანთი სიმაგრეები და კოშკები, ისევე, როგორც თავად ჩხეიძეებს ჰქონდათ იტრიაში.

კოშკების მშენებლობა უხცო რომ არ ყოფილა მხარისათვის, ამაზე მიგვანიშნებს კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელსაც XVIII საუკუნით ათარიღებენ. მიიჩნევენ რომ იგი უცნობ პირს ეკუთვნის, თუმცა დოკუმენტის შინაარსიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, იგი ბაგრატიონ-დავითიშვილების რომელიმე წარმომადგენელს უნდა ეკუთვნოდეს. საჩივრის ავტორი ზაალ მახვილაძეს უჩივის და ერთ-ერთ ბრალდებად შემდეგს უყენებს: „ტკოცას ერთის საკირის ქვა მოვათხრევინეთ, - კოშკს ვაპირებდით. მამაჩემი მოკვდა, მოვიშალენით. ეს ქვა მოხის ჩაზიდა, იქ დასწვა და იქ მოიხმარა...“ (6).

იყო შემთხვევები, როცა ხაშურის რეგიონის სოფლები მონაწილეობას ღებულობდნენ მათგან საკმაოდ დაშორებულ სოფლებში კოშკების მშენებლობაში. გიორგი XII-ის 1799 წლის ერთი ბრძანების მიხედვით, ცნობილი ხდება, რომ სოფელ ფცის კოშკის მშენებლობაში, სხვა სოფლებთან ერთად, მონაწილეობას ღებულობდნენ ალელები - ევალებოდათ ურმებით მასალის მიზიდვა. მათ 10 ურემი უნდა გამოეყვანათ და თითოეულს ხუთ-ხუთი გზა ქვა უნდა მიეტანა ფცაში.

ისევე, როგორც, საერთოდ, საქართველოს ციხე-სიმაგრეები, ხაშურის რაიონის ციხე-სიმაგრეები დროთა განმავლობაში ცვლილებებს განიცდიდნენ, რაც დაკავშირებული იყო საბრძოლო იარაღის განვითარებასთან. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი სახეცვლილება ციხე-სიმაგრეებმა განიცადეს XV-XVI საუკუნეებიდან, როცა საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღი შემოვიდა. ამ დროიდან ციხის კედლებში გაჩნდა სათოფურები, საზარბაზნეები და ა.შ.

სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ საქართველოს ციხე-სიმაგრეთა შემდეგ სახეობებზე: ციხე-ქალაქი, ციხე-სიმაგრეები, ციხე-დარბაზები, გალავნები, კოშკები, გამაგრებული ეკლესიები და მონასტრები და სხვა. ხაშურის რეგიონში ზემოთ ჩამოთვლილი სიმაგრეების თითქმის ყველა სახეობა გვხვდება (გარდა ციხე-ქალაქისა).

და მაინც, ქვეყნის პოლიტიკურსა თუ ეკონომიკურ ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობდა გზები. „გზები, მართალია, ძლიერ არის დამოკიდებული გეოგრაფიულ პირობებზე, მაგრამ მათი საბოლოო მიმართულება მაინც წარმოებითი გეოგრაფიით აიხსნება და ეს მით უფრო, რაც უფრო მონაწილეობს ესა თუ ის მხარე ქვეყანათა შორის ეკონომიკურსა და პოლიტიკურ ურთიერთობაში. აქედან გზების მიმართულების ცვლაც ... გზებისა (და მაშ ეკონომიკური ურთიერთობის) გათვალისწინებით გასაგები ხდება ამა თუ იმ პუნქტისა თუ რაიონის დაწინაურება - აყვავება, ისე როგორც მეორესი დაცემა - დაქვეითება, მივიწყება... რა თქმა უნდა, აქვე გათვალისწინებული უნდა გვქონდეს, რომ ამა თუ იმ პუნქტის დაწინაურება - აყვავება თვით იწვევს გზების მიმართულების შეცვლას, თუ ასეთი გზა აქამდის უქცევდა მას, მაგრამ თავის მხრით აყვავებაც უგზოდ წარმოუდგენელია ...“.

აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი ძირითადი გზები ლიხის ქედზე გადიოდა. ივანე ჯავახიშვილი წერს: „ვისაც დასავლეთ საქართველოთგან აღმოსავლეთში მოკლე გზით და პირდაპირა ჰსურდა გადმოსვლა, მას უნდა გადმოევლო ლიხის მთა... ზამთარში აქ თუმცა ხშირად დიდი თოვლი იცის ხოლმე, მაგრამ თუ ადამიანს ეჩქარებოდა, ამ გზას მაინც ვერ აუქცევდა“ .

ლიხის ქედზე არის რამდენიმე, ისტორიულად ცნობილი უღელტეხილი-გადასასვლელი. ესენია: პერანგას, ზემოჯვარ-კორტოხის, დედაბერას, რიკოთის, სურამის (ფონა) და ციხისძირის (ქვიშხეთი-ბულბულის ციხე). უმთავრესად ეს გზები მდინარე ფრონეების აუზში მდებარეობენ, მხოლოდ ერთი -ციხისძირის გზაა მდინარე შოლის აუზში. გზები ძირითადად ამ მდინარეებს მიუყვებოდა.

უნდა გამოვთქვათ ვარაუდი, რომ ამ გზების საერთო სახელწოდება უნდა იყოს „მატიანე ქართლისაის“ „გზა დასავალისაი“. „გზა დასავალისაი“ რომ ინტენსიურად გამოიყენებოდა საქართველოს ისტორიის მთელ მანძილზე, ამის შესახებ არაერთი მაგალითის მოტანა შეიძლება თუნდაც მარტო „ქართლის ცხოვრებიდან“. ნიკო ბერძენიშვილი კონკრეტულ შემთხვევასთან (853 წ.) დაკავშირებით აღნიშნავს: „...არ ჩანს: „გზა დასავლისა“ ერთი გარკვეული გზის სახელი იყო, თუ ლიხთიქითს მიმავალ ყველა გზის შესახებ ითქმოდა“ .

ვფიქრობთ, „გზაი დასავალისა“ რომელიმე კონკრეტული გზის სახელწოდება კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ მასში იმ გზების საერთო სახელი უნდა ვიგულისხმოთ, რომელიც ლიხის ქედზე გადადიოდა. ეს იქნებოდა სურამიდან, ციხისძირიდან თუ ფრონეების ხეობებიდან გადასასვლელი გზები.

რაც შეეხება სამხრეთ საქართველოსთან დამაკავშირებელ გზას, იგი ბორჯომის ხეობით მდინარე მტკვარს ორივე ნაპირზე მიუყვებოდა, როგორც მარჯვნივ, ისე მარცხნივ.

მდინარე მტკვრის მარცხენა მხარეს გზა გაივლიდა - ურბნისს - ქვინატკოცას - მოხისს - დაღალულას - სატივეს - ოსიაურს - ხაშურს - სურამს - ტეზერს - ქვიშხეთს - ტაშისკარს - ახალდაბას და ა.შ. მტკვრის მარჯვენა მხარეს გზა თბილისიდან იწყებოდა,ხაშურის რეგიონში გამოივლიდა შემდეგ დასახლებულ პუნქტებს: - ქარელი - ახალსოფელი - წრომი - მიწობი - ხცისი - თაგვეთი - ბრბონა - დამჩხეულა - სათივე - სარმანიშვილის კარი - ახალდაბა -.ამ გზის არსებობა არაერთი დოკუმენტით დასტურდება. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ 1609 წლის ივნისში ყირიმელმა თათრებმა სწორედ ეს გზა გამოიყენეს და რბონასთან გადმოლახეს მტკვარი. რაც შეეხება ქართველთა მხედრობას, ისინიც ამ გზით მოძრაობენ და უფრო ზემოთ, ახალდაბასთან ცხენდაცხენ გადმოლახეს მდინარე. ეს გზა საქართველოს ისტორიის ნებისმიერ პერიოდში იქნებოდა გამოყენებული, მით უფრო, რომ იგი მდინარეს მიუყვებოდა თრიალეთის ქედის გასწვრივ. აქედან კი არაერთი გზა მიემართება სამხრეთ საქართველოსკენ.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

1

- განათლება -

# ჯაბა ლაბაძე - ისტორიის საუკეთესო მასნავლებლის ტიტულის მფლობელი გახდა

23 ოქტომბერს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორმა ბერიკა შუკაკიძემ გეოგრაფიის, ისტორიისა და სამოქალაქო განათლების 2019 წლის საუკეთესო მასწავლებლის კონკურსის გამარჯვებულები დააჯილდოვა.

კონკურსში,რომელიც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინიციატივით ტარდება, მონაწილეებს ადგილობრივი და საერთაშორისო საგნობრივი სპეციალისტებისგან დაკომპლექტებული კომისია აფასებდა. სხვადასხვა ეტაპის შედეგად, კომისიამ საუკეთესო კანდიდატები შეარჩია. კომისიის წევრები დაესწრნენ თითოეული მათგანის გაკვეთილს, ჩაატარეს ინტერვიუები სასკოლო საზოგადოებისა და ადგილობრივი თემის წევრებთან, ასევე შეისწავლეს თითოეული მასწავლებელის პორტფოლიო.

კონკურსში მონაწილე 8 ფინალისტიდან გამარჯვებულად თითოეული საგნის ერთი სპეციალისტი დასახელდა,რომელთაც მასწავლებლის სახლმა სიგელები, სამკერდე ნიშნები და სახელმძღვანელოები გადასცა.

სამოქალაქო განათლების საუკეთესო მასწავლებელი - თემურ სუყაშვილი გახდა, (სსიპ ქ. მარნეულის 2 და 5 საჯარო სკოლა)

გეოგრაფიის საუკეთესო მასწავლებელი - მარინე ვართუმაშვილი (გორის 12 საჯარო სკოლა) ,ისტორიის საუკეთესო მასწავლებლის ტიტული კი ჯაბა ლაბაძეს ერგო. (ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის №2 საჯარო სკოლა)

გამარჯვებულები დააჯილდოვეს შემდეგმა ორგანიზაციებმაც: თსუ-ს გეოგრაფიის ინსტიტუტი, საქართველოს ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელობის გეოგრაფიული საზოგადოება, კავშირი მდგრადი განვითარების ეკო ხედვა, შპს „დიო“, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრი, საქართველოს ეკო ტურიზმის ასოციაცია, ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაცია,.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი 2019 წელს ყველა საგანში გამოავლენს საუკეთესო მასწავლებელს. ასევე, დაგეგმილია კონკურსი „წლის საუკეთესო სკოლის დირექტორებისთვის“. ამასთან ერთად,

სპეციალური ჯილდოა განკუთვნილი იმ „დამსახურებული მასწავლებლებისათვის“, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ამ პროფესიის განვითარებაში.



# მცხეთიჯვარი - წალვლის გზის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს

სოფელ მცხეთიჯვრიდან სოფელ წაღვლამდე გზის მოასფალტების სამუშაოები მოინახულეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა, მერის მოადგილეებმა: ზვიად ქურდაძემ და ზურაბ როსებაშვილმა. მათი განმარტებით, სამუშაოები გეგმაზომიერად მიმდინარეობს, ამ ეტაპზე ასფალტის მეორე ფენა იგება. პროექტის მიხედვით, ჯამში 3 კილომეტრნახევრიანი ასფალტის საფარი დაიგება.

სოფელ მცხეთიჯვრიდან წაღვლამდე გზის მოასფალტების პროექტი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის კონფლიქტისპირა სოფლების მცხოვრებლებს საყოფაცხოვრებო პირობები მკვეთრად გაუუმჯობესდებათ.

პროექტი ორწლიანია, თანადაფინანსებით ხორციელდება და მისი ჯამური ღირებულება 2 947 999 ლარს შეადგენს.

# ახალგაზრდული იდეების კონკურსი

60 ახალგაზრდა საქართველოს ხუთი მუნიციპალიტეტიდან - ცაგერი, ტყიბული, ჭიათურა, სურამი და გარდაბანი - მონაწილეობენ ახალგაზრდული იდეების კონკურსში, რომელიც ხელს შეუწყობს მათი მშობლიური ქალაქების განვითარებას.

გამარჯვებული 2019 წლის ნოემბერში გამოვლინდება. საუკეთესო იდეების ავტორები გაემგზავრებიან ჩეხეთში, სადაც პოლიტიკაში ახალგაზრდების ჩართულობის ევროპულ გამოცდილებას გაეცნობიან.

კონკურსის ორგანიზატორია ჩეხური არასამთავრობო ორგანიზაცია AGORA Central Europe, ხოლო მხარდამჭერები გაეროს განვითარების პროგრამა, დანიის მთავრობა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

# შიდა ქართლის 429 წარჩინებულ მოსწავლეს საჩუქრად კომპიუტერები გადაეცათ

პროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერი” ფარგლებში გამართულ ღონისძიებას შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ხოჯევანიშვილი, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელი ზვიად როსტომაშვილი, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და შიდა ქართლის მუნიციპალიტეტების რესურსცენტრების უფროსები დაესწრნენ, რომელებმაც წარჩინებული მოსწავლეები პირადად დააჯილდოეს.

„ვულოცავ თითოეულ მოსწავლეს. განათლება საუკეთესო საშუალებაა უკეთესი მომავლის შექმნისთვის და ჩვენმა ახალგაზრდებმა ეს კარგად იციან.” - აღნიშნა გიორგი ხოჯევანიშვილმა.

პროგრამა “ჩემი პირველი კომპიუტერი” 2009 წლიდან წარმატებით ხორციელდება. პროგრამის მიზანს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლა/სწავლების მეთოდების გაძლიერება წარმოადგენს.

აღნიშნულ ღონისძიებაზე ჩვენი მუნიციპალიტეტიდან 80 წარჩინებული მოსწავლე დაჯილდოვდა.

შემოდგომის პეიზაჟები ჩვენს მუნიციპალიტეტში

არჩილ სუთიაშვილის ფოტოები

## გომის საბავშვო ბაღში სასწავლო პროცესი განახლდა

ახლადრეაბილიტირებული №13 სააღმზრდელო დაწესებულება ოფიციალურად მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა, მერის მოადგილეებმა: ზვიად ქურდაძემ, ზურაბ როსებაშვილმა და სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების ხელმძღვანელმა თათია ბროლიძემ გახსნეს.

წლების განმავლობაში შენობის მხოლოდ ნაწილი იყო გარემონტებული და

ერთი სააღმზრდელო ჯგუფი ფუნქციონირებდა, ამჯერად კი შესაძლებელი გახდა ჯგუფების დამატება.

სააღმზრდელო დაწესებულების სარეაბილიტაციო სამუშაოები მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტიდან განხორციელდა და ჯამში 35 281 ლარი დაიხარჯა.

- მკლავჭიდი -

## გამარჯვება გორში

გასულ კვირას, ქალაქ გორში „გორის დღე 2019"-ის აღსანიშნავად, სხვადასხვა სპორტის სახეობებში შეჯიბრი გაიმართა, მათ შორის იყო ტურნირი მკლავჭიდში, სადაც ერთპიროვნული ლიდერობა ხაშურში მცხოვრებმა დავით კილაძამ არავის დაუთმო. შვიდგზის წარმატებული შერკინების შემდეგ, ის გამარჯვებული დაბრუნდა შინ. გამარჯვებულს მედალი და თასი გორის მუნიციპალიტეტის მერიამ და გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების სააგენტომ გადასცა.

დავით კილაძე: მონაწილეობა მივიღე მკლავჭიდში, სადაც აბსოლუტურ წონით კატეგორიაში ვიასპარეზე. პირველი შერკინებისას მსაჯების არაკომპეტენტურმა საქციელმა ჩემი დამარცხება გამოიწვია, მაგრამ საბედნიეროდ მკლავჭიდში ერთი დამარცხების უფლება აქვს სპორტსმენს, ხოლო მეორე დამარცხების შემთხვევაში საერთოდ ეთიშება ასპარეზობას. ამიტომ წაგების უფლება აღარ მქონდა და თუ მინდოდა გამარჯვება მომეპოვებინა ყველა შერკინება უნდა მომეგო და ასეც მოხდა, ყველა შერკინება ერთმანეთის მიყოლებით მოვიგე და შედეგად ტურნირში გავიმარჯვე.

ვულოცავთ დავითს ამ გამარჯვებას და იმედს გამოვთქვამთ, რომ იგი, მომავალში, უფრო დიდ ტურნირებშიც ისახელებს თავს.

## უჩვეულო მოვლენა აძვისში

პლანეტის გლობალური დათბობის პროცესი მთელ მსოფლიოს აშფოთებს, ამ პროცესის თანმდევ მოვლენებს კი უკვე თითოეული ჩვენგანი გრძნობს. თუმცა, რაღა გრძნობს,-პირდაპირ ვხედავთ. შორს წასვლა აღარც გვჭირდება-ჩვენი მუნიციპალიტეტის მაგალითიც კმარა. 20-25 წლის უკან, თითქმის წარმოუდგენელი იყო, საქართველოს სხვა რეგიონებში გავრცელებული კულტურების ჩვენთან მოყვანა. დღეს კი, ვთქვათ, ლეღვის ან კარალიოკის ხილვა ბევრი ოჯახის ეზოებშია შესაძლებელი. აღარც ის გვიკვირს, რომ რთველიც, ჩვეულ ნორმაზე, ორი კვირით ადრე იქნება და ზაფხულის თუ შემოდგომის "დადგენილი" ვადებიც მკვეთრად შეიცვალა. აგერ, ეს ფოტოც კიდევ ერთი დადასტურებაა ამ ყველაფრის. 15 წელია ეს ვაშლის ხე დგას აძვისში.

პატიოსნად ასრულებს თავის მოვალეობას და ყოველ შემოდგომას უხვ ნაყოფს აძლევს პატრონს. წელს, კი, თვითონაც ვეღარ ხვდება, რა ემართება. ვაშლი ისევ პატიოსნად მოისხა და შემოდგომის მიწურულს, როდესაც ფოთლები უნდა შემოიძარცვოს და ზამთარს დაელოდოს, შემოდგომის სითბოებმა იმდენად აურია გონება, რომ ყვავილობა დაიწყო. ჰოდა, დგას ახლა აძვისში საწყლად გონებააშლილი ვაშლის ხე, თან რომ დამწიფებული ნაყოფი აქვს, თანაც ყვავილობს. აი, რა იცის ამ შეჩვენებულმა გლობალურმა დათბობამ!

D

## გიწვევთ ტრენინგზე

არასამთავრობო ორგნიზაცია "ხაშურის რაიონის სამოქალაქო მრჩეველთა კავშირი" ახორციელებს პროექტს "სამოქალაქო განათლება-აქტიური ამომრჩეველი". პროექტის ფარგლებში, 29 ოქტომბერს, დაიწყება ტრენინგი საარჩევნო, გენდერული და სახელმწიფო მოწყობის საკითხებზე. ტრენინგები თითოეული ჯგუფისათვის ოთხდღიანია. ტრენინგები გაგრძელდება 22 ნოემბრამდე და გაიცემა სერტიფიკატები.

ტრენინგი ჩატარდება ხაშურის საოლქო-საარჩევნო კომისიის ოფისში(ხაშური, კოსტავას ქ. №7).

მსურველები (18 წლიდან) დაგვიკავშირდით ტელეფონზე 551 410 150 ან ელ. ფოსტაზე mindiaqurdadze@gmail.com

მინდია ქურდაძე, პროექტის მენეჯერი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.